პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 254 (5804)

1976 წ. 25 დეკემბერი. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ამხ. ლ. კორვალანი მოსკოვში

23 დეკემბერს მოსკოვი გულითადად შეხვდა საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ჩილესა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ჩილეს კომპარტიის გენერალურ მდივანს **ლუის კორვალანს.**

ლ. კორვალანთან შეხვედრა ჩილელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ყველა საბჭოთა ადამიანის სოლიდარობის შესანიშნავ დემონსტრაციად გადაიქცა. (საქდესი).

მოსკოველები ვნუკოვოს აეროპორტში მიესალმებიან ამხანაგ ლუის კორვალანს.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ლ. კორვალანი

23 დეკემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** შეხვდა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს **ლუის კორვალანს.**

ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად, ძმურად მიესალმა ამხანაგ ლ. კორვალანს — ჩილეს სახელოვანი კომპარტიის ხელმძღვანელს. მან ლ. კორვალანს მიულოცა განთავისუფლება სამ წელზე მეტი ხნის პატიმრობის შემდეგ.

ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ლუის კორვალანის განთავისუფლება მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც უეჭველია, დიდ ზეგავლენას მოახდენს კომუნისტების, ყველა დემოკრატის ბრძოლის, რევოლუციური მოძრაობის გააქტიურებაზე ჩილესა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და თავიანთი განთავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხთა ძმური სოლიდარობის პრინციპი, ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევმა, ჩვენი პარტიისთვის წმიდათაწმიდაა. ამიტომ კვლავაც დავეხმარებით, ყოველნაირ მხარდაჭერას გავუწევთ თქვენს პარტიას, ჩილეს სხვა ანტიიმპერიალისტურ ძალებს, თქვენს სამშობლოში თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენისთვის ბრძოლაში.

ამხ. ლ. კორვალანმა გულითადი მადლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტსა და მშრომელს, მსოფლიოს მთელ დემოკრატიულ წრეებს ესოდენ ფართოდ და ქმედითად რომ უწევენ სოლიდარობას ჩილეს კომუნისტებსა და სხვა პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან სამხედრო-ფაშისტური ხუნტის დამხობისთვის, სამშობლოს დემოკრატიული განვითარებისა და სოციალური პროგრესისთვის.

ამხ. ლ. კორვალანმა თქვა, რომ იგი განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ყველაფრისთვის, რაც პირადად გააკეთა მისი განთავისუფლებისთვის. ჩვენ, აღნიშნა ლ. კორვალანმა, კვლავაც შევასრულებთ ჩვენს რევოლუციურ მოვალეობას, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩილე რაც შეიძლება მალე კვლავ დემოკრატიის ქვეყანა გახდეს.

ლ. კორვალანმა მხურვალედ მიულოცა ლ. ი. ბრეჟნევს დაბადების 70-ე წლისთავი, უსურვა ჯანმრთელობა, შემდგომი წარმატებები სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისთვის ბრძოლაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ თავისუფლებისა და პროგრესის საქმე, რისთვისაც თავდადებით იბრძვიან კომუნისტები, დემოკრატიული ძალები, ჩილეს პატრიოტები, უთუოდ გაიმარჯვებს.

შეხვედრამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმობის გამო პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავის ზეიმობის გამო პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მშრომელებმა ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღნიშნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის მგზნებარე მებრძოლის, თანმიმდევრული ლენინელის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლის სახელოვანი იუბილე, რომელიც გადაიქცა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის, მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმის, იდეებისადმი მშრომელთა უსაზღვრო ერთგულების დამადასტურებელ ზეიმობად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა, კომუნისტთა, ყველა მშრომელთა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია დაამკვიდრონ და შემდგომ განავითარონ ის მორალურ-პოლიტიკური და შრომითი განწყობილება, რომლითაც აღინიშნა მთელი 1976 წელი — პარტიის XXV ყრილობის წელი და რომლითაც ჩაებნენ ისინი დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის სამზადისში; მოახმარონ მთელი პროპაგანდისტული და პოლიტიკური მუშაობა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, ლ. ი. ბრეჟნევის ფუძემდებელი შრომების, მოხსენებებისა და გამოსვლების, საიუბილეო ზეიმობაზე სამშობლოს მაღალი ჯილდოს გადაცემისას მისი სიტყვის, მოძმე პარტიების ხელმძღვანელთა, პოლიტბიუროს წევრთა გამოსვლების განმარტებასა და განხორციელებას, საიუბილეო 1977 წლისა და მთელი ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, სამეცნიერო და შემოქმედებით ორგანიზაციებს დაავალა გაააქტიურონ საქმიანობა მშრომელთა ფართო მასების დასარაზმავად 1976 წლის გეგმების შესრულებისთვის, 1977 წლის ახალ ვალდებულებათა მიღებისა და უთუოდ განაღდებისთვის ბრძოლაში, მთელი თავიანთი საქმიანობა დაუქვემდებარონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, ლ. ი. ბრეჟნევის შრომებსა და გამოსვლებში მოცემული იმ სახელმძღვანელო მითითებების, დებულებებისა და დასკვნების განხორციელების უზრუნველყოფას, რომლებსაც ფუძემდებელი მნიშვნელობა ენიჭებათ განვითარებული სოციალისტური მშენებლობის პირობებში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ოლიმპიური წლის ლაურეატები

საბჭოთა კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ და საკავშირო სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველომ ჟურნალ-გაზეთების, დეპეშათა სააგენტოების, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკთა შორის მოაწყვეს ტრადიციული წინასაახალწლო გამოკითხვა წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის დასადგენად. გამოკითხვის შედეგად საუკეთესოთა სიას მეთაურობს 24 წლის ვლადიმირელი ტანმოვარჯიშე ნიკოლოზ ანდრიანოვი, რომელმაც მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საინტერესოა, რომ ანდრიანოვი საერთოდ პირველად მოხვდა ათეულში.

სპორტული სეზონის ლაურეატთა სიაში შემდეგი ადგილები ასე განაწილდა:

2. ვიქტორ სანეევი (თბილისი, მძლეოსნობა), 3. ტატიანა კაზანკინა (ლენინგრადი, მძლეოსნობა), 4. ტატიანა ავერინა (გორკი, ციგურაობა), 5. ვლადისლავ ტრეტიაკი (მოსკოვი, ჰოკეი), 6. ვასილ ალექსეევი (რიაზანი, ძალოსნობა), 7. ნელი კიმი (ჩიმკენტი, ტანვარჯიში), 8. მარინა კოშევაია (მოსკოვი, ცურვა), 9. ლიუდმილა პახომოვა და ალექსანდრე გორშკოვი (მოსკოვი, ფიგურული ციგურაობა), 10. ირინა როდნინა და ალექსანდრე ზაიცევი (მოსკოვი, ფიგურული ციგურაობა).

ყველა ლაურეატი ოლიმპიური ჩემპიონია.

ჟურნალისტებმა ყველაზე პოპულარულთა შორის დაასახელეს, აგრეთვე, ძალოსანი დ. რიგერტი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლ. თედიაშვილი, წყალში მხტომელი ე. ვაიცეხოვსკაია, მოთხილამურე რ. სმეტანინა, სხვა საბჭოთა ჩემპიონები და რეკორდსმენები — სულ 27 სახეობის წარმომადგენელი 54 სპორტსმენი.

• • •

სურათზე: ნ. ანდრიანოვი.

ფეხბურთი

33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ 1976 წლის შედეგების მიხედვით შეადგინა 33 საუკეთესო მოთამაშის ტრადიციული სია. იგი ასე გამოიყურება:

მეკარეები

1. ვ. ასტაპოვსკი (ცსკა), 2. ნ. გონტარი („დინამო“, მოსკოვი), 3. ი. დეგტიარევი („შახტიორი“).

დაცვის ხაზი

1. ვ. კრუგლოვი („ტორპედო“, მოსკოვი), 2. ვ. ტროშკინი („დინამო“, კიევი), 3. ა. პაროვი („დინამო“, მოსკოვი); 1. მ. ფომენკო („დინამო“, კიევი), 2. ვ. შვეცოვი (ცსკა), 3. ვ. გოლუბევი („ზენიტი“); 1. ს. ოლშანსკი (ცსკა), 2. ვ. გორბუნოვი („შახტიორი“), 3. ს. პრიგოდა („ტორპედო“, მოსკოვი); 1. შ. ხინჩაგაშვილი („დინამო“, თბილისი), 2. ვ. მატვიენკო („დინამო“, კიევი), 3. ვ. ბუტურლაკინი („ტორპედო“, მოსკოვი).

შუა მინდვრისა და შეტევის ხაზი

1. ა. მინაევი („დინამო“, მოსკოვი), 2. ლ. ბურიაკი („დინამო“, კიევი), 3. ნ. პეტროსიანი („არარატი“); 1. ა. კონკოვი („დინამო“, კიევი), 2. ვ. სახაროვი („ტორპედო“, მოსკოვი), 3. ა. მაქსიმენკოვი („დინამო“, მოსკოვი); 1. ვ. ვერემეევი („დინამო“, კიევი), 2. ა. ტარხანოვი (ცსკა), 3. ე. ლოვჩევი („სპარტაკი“, მოსკოვი); 1. ვ. კოლოტოვი („დინამო“, კიევი), 2. დ. ყიფიანი, 3. მ. მაჩაიძე (ორივე — „დინამო“, თბილისი); 1. ვ. ონიშჩენკო („დინამო“, კიევი), 2. ა. მარკინი („ზენიტი“), 3. ი. ჩესნოკოვი (ცსკა); 1. ო. ბლოხინი („დინამო“, კიევი), 2. ვ. ბუცაევი („დინამო“, თბილისი), 3. ვ. ფიოდოროვი („ფახთაქორი“).

თავდამსხმელებისა და ნახევარმცველთა შუა მინდვრისა და შეტევის მოთამაშეების ხაზად გაერთიანების წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ.

33 საუკეთესო ფეხბურთელის შარშანდელი სიიდან პირველი ადგილები შეინარჩუნეს ფომენკომ, კონკოვმა, ვერემეევმა, კოლოტოვმა, ონიშჩენკომ, ბლოხინმა. სიაში პირველად მოხვდნენ გონტარი, პაროვი, შვეცოვი, პრიგოდა, ხინჩაგაშვილი, ტარხანოვი, მარკინი, პეტროსიანი.

33 საუკეთესო სიაში ყველაზე მეტი წარმომადგენლობა აქვს კიევის „დინამოს“ — 9 (შარშან — 12).

კუბელი ათლეტის რეკორდი

ჰავანა, 23 დეკემბერი. (საქდესის კორ.). ნიჭიერმა კუბელმა ძალოსანმა რობერტო ურუტიამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 67,5 კგ-მდე წონითს კატეგორიაში, როცა აქ გამართულ შეჯიბრებაში 141-კილოგრამიანი სიმძიმე დაძლია. 21 წლის კუბელმა სპორტსმენმა 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა პოლონელი კ. ჩარნეცკის მიღწევა. ურუტიამ ერთ წელიწადში ეს უკვე მესამე შესწორება შეიტანა მსოფლიო რეკორდების ცხრილში.

— ჰავანიდან მოსული ამბავი ჩემთვის მოულოდნელი არ იყო, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ი. კუდიუკოვმა. — ურუტია ძალიან ნიჭიერი სპორტსმენია. მონრეალში იგი ოლიმპიური ჯილდოების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მიგვაჩნდა თავის წონაში. იქ მან თავისი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეცდება 1977 წელს შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატში რევანში აიღოს. საყურადღებოა, რომ კუბელი ათლეტი ძლიერია არა მარტო ატაცში, არამედ ორივე ვარჯიშში. ორჭიდში მას ეკუთვნის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი — 310 კგ. ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ ურუტია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია მსუბუქი წონის ძალოსანთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: ტრავერსის მარშრუტი. წყვეტილი ხაზით ნაჩვენებია მარშრუტის ხილული ნაწილი, პუნქტირით — უხილავი, სამკუთხედებით — დაბანაკების ადგილები, ხოლო ციფრებით — მწვერვალები: ნამლოღენიე (5579 მ), ფურმანოვი (5780), XXV ყრილობის სახელობის, (6175), ხალხთა მეგობრობა (6250), კონსტანტინე გამსახურდია (6450), იმანის მასივის აღმოსავლეთი მწვერვალი (6390), საბჭოთა სახელმწიფოს 30 წლისთავის სახელობის (6447), მოსკოვის პიკი (6785), სოიუზ-აპოლონი (6047), მოლოტბა (4950), დუშანბე (5456).

ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲗᲐ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲗᲨᲘ

როგორც ცნობილია, წლეულს სსრ კავშირის ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვა ქართველ მთამსვლელთა ორმა გუნდმა. ერთმა — ტექნიკური ასვლების კლასში (ტიან-შანი), მეორემ — ტრავერსებში (პამირი). ტიან-შანში საქართველოს ნაკრების გამარჯვებაზე ჩვენ უკვე გიამბეთ. ახლა კი მეორე ექსპედიციაზე მოგითხრობთ.

ინათა. კარვებიდან რიგრიგობით გამოვიდნენ მთამსვლელები.

დილებული ამინდი იდგა. ირგვლივ თოვლის საბურველში გახვეული მწვერვალები ელვარებდნენ.

ერთ-ერთმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა და ცაცხლმოფენილ მწვერვალებს დაუმიზნა.

— რა ლამაზი გადაღებაა, უნდა გაიჭრით, — ამბობს რომელიღაც.

მალე ყველამ ზურგ-ჩანთები აიკიდა და „ლოგბილთა თავშესაფრისაკენ" მიმავალ გზას შეუდგნენ. ეს იყო „გზაზე წამებისა", რომელთაც სიძნელენი და სიხარულიც უნდა მოეტანათ მათთვის.

ეს გზები ცენტრალურ პამირში, სარიანის მყინვარის რაიონში, მწვერვალ „ნამლოღენიაზე" იწყებოდა და „დუშანბეს" პიკით მთავრდებოდა. მთამსვლელებმა არ იცოდნენ რა მოუყვებოდა მეორე ნაბიჯს, რა გამოჩნდებოდა იმ მთას იქით. გასავლელი იყო 11 მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 6000-6500 მეტრს აღემატებოდა, ხოლო ტრავერსის საერთო სიგრძე 20 კილომეტრს აღწევდა.

ამ სახიფათო გზის გავლას მთაში დაღუპული თავიანთი მეგობრების ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ილიკო გაბლიანის ხათულ ხსოვნას უძღვნიდნენ ისინი. სწორედ ასე აწერია ხეთი ალპინისტის დღიურებს.

ბანაკში: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, ილიკო გაბლიანი... ისინი უზიარდ უყვარდათ მთებს და აქვე ზეიდი მწვერვალების სიყვარულს შესწირეს სიცოცხლე.

ეს მოხდა 1961 წლის 28-29 აგვისტოს, გამარჯვების პიკზე.

ვინ იცის, იმ დიდებული სამყაროსა და ამ შესანიშნავი ხეობის წვერებზე რამდენჯერ ყოფილან ერთ თოკზე ჩაბმულნი, რამდენჯერ გაუზიარებიათ თანაბრად მწვერვალთა დაპყრობით გამოწვეული სიხარული...

ახლა კი, ახლა თავისი მეგობრების ხათულ ხსოვნას უძღვნიან ამ ლაშქრობას ხეობელი. ხშირ დროსაც მეგრულ მიუძღვნეს თავიანთი ექსპედიციები მთაში დაღუპულ მეგობრებს. მათგან ყველაზე თვალსაჩინო იყო 1974 წლის ასვლები მარის მასივზე, როცა იქ, მარადიული თოვლის საუფლოში, ასე გაჩნდა მწვერვალები ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, ილიკო გაბლიანი...

... **ლაშქრობის** მესამე დღე მიიწურა. უკან დარჩა „ნამლოღენიას" პიკი, ფურმანოვის სახელობის მწვერვალი... თითოეულ მათგანზე ქართველმა მთამსვლელებმა ახალი ბილიკები გაკვალეს და ახლა 5850 მეტრის სიმაღლეზე ღამის სათევად მოემზადნენ.

ძილ-ღვიძილში იყვნენ, როცა ამინდი მოულოდნელად გაფუჭდა. სქელმა ნისლმა გარსშემოვლებით მოჭიდოლი ცის გუმბათი დაფარა. თოვლი წამოვიდა. ქარი ამოვარდა. 10 საათამდე ამაოდ ელოდნენ მთამსვლელებმა. შემდეგ კი იერიში განაგრძეს. „გზის" დახრილობა 40-45 გრადუსი იყო, მაგრამ მოუხედლი ფერდობი და სტიქიის შემოტევა საგალს ართულებდა. მთამსვლელები მონაცვლეობით მიიწევდნენ წინ, თან გამუდმებით იცვლიდნენ ერთმანეთს წერაქვებისა და პალოების დახმარებით.

სამი საათის შემდეგ უსახელო მწვერვალი ხომალდივით გამოცურდა ნისლიდან. მთამსვლელებმა მესამე უსახელო მწვერვალის დაპყრობა მოულოცეს ერთმანეთს. შემდეგ ნიში ააგეს და მასში ასეთი შინაარსის წერილი დატოვეს: „საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა ჯგუფმა შოთა მირიანაშვილის (ექსპედიციის ხელმძღვანელი), მიტო დანგაძის (მთავრობე ჯგუფის მწვრთნელი), გია აბაშიძის, სერგო ბარლიანისა და მაქრო გაბისიანის შემადგენლობით დაპყრეს უსახელო მწვერვალი და პირველმსვლელთა უფლებით მას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის სახელი უწოდეს. ამინდი ცუდია. თოვს. ქარი ქრის. მხედველობა — 20-25 მეტრი. ვაგრძელებთ ტრავერსს. 1976 წ. 29-VII. 14-00".

ნახევარ საათში უამინდობამ მთამსვლელები აიძულა კარავი დაედგათ.

— ფურმანოვიდან აქამდე მარშრუტის სირთულე შეესაბამება მე-5-ბ კატეგორიისას, — ამბობს შოთა.

ყველანი უხმოდ უქნევენ კვერს.

— მთელი დღე ქარბუქი მძვინვარებდა. სტიქია ღამითაც მობობოქრობდა და არც განთიადისას დამცხრალა. ირგვლივ თოვლის კორიანტელი იდგა. მთამსვლელები დროდადრო კარვიდან იხედებოდნენ. სამიოდე ნაბიჯს იქით მხოლოდ სითეთრე იყო.

შუადღისათვის ქარბუქი ჩაცხრა. თოვამაც იკლო. მთამსვლელებმა იერიში განაგრძეს.

წინ იმანის ერთულესი მასივია.

14 საათია. მასივის პირველი ბასტიონი დაძლეულია. მას მთამსვლელები ხალხთა მეგობრობის სახელს არქმევენ. სტიქია კვლავ აბობოქრდა. ხეთეულმა ერთ-ერთი თოკის მანძილით უკან დაიხია. ქარისგან შეფარებით ღაცცლი ადგილი მოძებნეს უფსკრულის პირას. კარავი გაშალეს. უფრო სწორად, ჩამოკიდეს. მეტი გზა არაა. გამთენიარებამდე აქ, თითქმის მწვერვალზე, უფსკრულის თავზე უნდა დაელოდონ.

ხალხთა მეგობრობის მწვერვალი.

— ალბათ ჩვენსავით იყვნენ.

ღამით ამინდი გაუმჯობესდა. დილით კი საიერიშო სამზადისი დაიწყო. მთამსვლელებმა თვალი მოავლეს მიდამოს... თორმეტი დღის წინათ აქ მოსკოველ ალპინისტთა ჯგუფი იყო და მათ კვალს ეძებდნენ. მაგრამ სამი დღის ხავერდოვანმა მოსულმა თოვლმა ყველაფერი წაშალა.

მოსკოველებს ამინდი სწყალობდათ.

იმავე დღეს ქართველი მთამსვლელები მწვერვალ კონსტანტინე გამსახურდიას ძირს მიაღწიეს.

ბანაკში: საქართველოს მთამსვლელთა გუნდი პამირის მთებში მიემგზავრებოდა. სწორედ გამგზავრების დღეს, თბილისში რომ ხსდებოდნენ, დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს. მაშინ გადაწყვიტეს პამირში საგანგებოდ შეერჩიათ დაუპყრობელი მწვერვალი და პირველმსვლელთა უფლებით მისთვის კონსტანტინე გამსახურდიას სახელი ეწოდებინათ.

შ. მირიანაშვილმა, ო. ხაზარაძემ, დ. დანგაძემ, გ. აბაშიძემ, შ. გაბისიანმა და ს. ბარლიანმა მიზანს მიაღწიეს.

ეს იყო შარშან.

ქართველმა მთამსვლელებმა წლეულსაც მიაღწიეს მიზანს ლაშქრობის მერვე დღეს. ოღონდ ეგ არის, ოთარ ხაზარაძე ამ ექსპედიციაში არ იყო.

ალპინისტებმა იმანის მასივის ბოლო, აღმოსავლეთი მწვერვალიც დაიპყრეს.

მწვერვალზე მთამსვლელებმა ჯიბის ალტიმეტრს დახედეს. აღმოჩნდა, რომ იმანის მასივის აღმოსავლეთი მწვერვალი 60 მეტრით ნაკლებია ცენტრალურზე — კონსტანტინე გამსახურდიაზე. აქამდე კი პირიქით ფიქრობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ალტიმეტრმა კორექტივი შეიტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის სახელობის მწვერვალის სიმაღლეშიც. აქამდე რუკებზე 6010 მეტრი იყო აღნიშნული, სინამდვილეში კი გაირკვა, რომ იგი მთელი 165 მეტრით მაღალია.

აღმოსავლეთის მწვერვალი რომ დაიპყრეს, უკვე 21 საათი და 30 წუთი იყო. ბნელოდა. დაშვება შეუძლებელი იყო, მხოლოდ ოცდაათიოდე მეტრით დაბლა დაიწიეს და კარავიც გაშალეს.

ღამით კვლავ ამოვარდა ქარბუქი. თოვლი წამოვიდა. დილისათვის კი წინ მხოლოდ კაციც აღარ ჩანდა. ხეთეულმა შუადღემდე უცადა გამოდარებას.

— არა, ბიჭებო, აქ გაჩერება შეუძლებელია. საკვები თითქმის აღარ გვაქვს. პროდუქტი კი აქვე, ორასიოდე მეტრში გველოდება, — თქვა შოთამ და დაეშვნენ.

საკვები მთამსვლელებს წინასწარ „მოსკოვის" ტრავერსზე, ერთი — ფურმანოვის სახელობის მწვერვალთან, მეორე კი — აქ. სხვათა შორის, მთამსვლელებმა იმავე ადგილებში მათ მიერ შარშან შენიღბული პროდუქტებიც ნახეს, რომლებიც კარგად შენახულიყო. ამ ტრავერსის განხორციელებას ისინი სწორედ შარშან აპირებდნენ, მაგრამ მარშრუტის დაწყება დაუგვიანდათ.

საერთოდ, ასეთი დიდი ტრავერსების განხორციელება შეუძლებელია, თუ საკვები წინასწარ არ მოიმარაგე მარშრუტზე. ახლავე მთამსვლელები მხოლოდ 12-15-კილოგრამიანი ზურგჩანთებით მიდიოდნენ.

საკვებამდე ორასიოდე მეტრი იყო...

რა არის 200 მეტრი, მოღლილ მეტრე ამოსუნთქვა, ერთი გარბენი, და... ეს ბარში.

მთაში კი ორასიოდე მეტრი — ეს დიდი ხნის ნაფიქრი ან აუხდენელი ოცნებაა. ახლაც ერთის გაჭირდა ამ პატარა მანძილის გავლა. მთების ფერდობებიდან ახვეტილი თოვლი ჰაერში ალესილი ტრიალებდა, მთამსვლელებს სახეში სცემდა, კანს სწვავდა. ძლივს იმაგრებდნენ თავს, ფეხზე კი არ იდგნენ, ქარზე იწვნენ. აი, ასე, ტიტით მიიწევდნენ წინ. თოკი ისე გაყინულიყო, ფოლადის გვარლს უფრო ჰგავდა.

ლაშქრობის მეცამეტე დღე იყო, 7 აგვისტო, როცა კიდევ ერთი, საბჭოთა სახელმწიფოს 30 წლისთავის სახელობის მწვერვალი დაიპყრეს. ამ მწვერვალზე ისინი ჩრდილო-დასავლეთის ქედით ავიდნენ.

და აი, მოსკოვის პიკის რიგიც მოვიდა.

ბანაკში: საქართველოს მთამსვლელთა შარშანდელი ექსპედიციის წევრები მოსკოვის პიკზე ახლახან რვა დღის მოვიდნენ. მაშინ მათ პირველებმა გაკვალეს ბილიკი მწვერვალის სამხრეთ თხემზე, რაც სსრ კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის მედლებით შეფასდა. მწვერვალზე ასეთი შინაარსის ბარათი ნახეს: „საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა ჯგუფმა დიმიტრი ოსიძის (გუნდის კაპიტანი), ჯუმბერ მეძმარიაშვილის, ლევან და ზურაბ ახვლედიანების, რევაზ ხაზარაძისა და თეიმურ კუხიანიძის შემადგენლობით მოახდინა პირველასვლა მოსკოვის პიკზე დასავლეთის ქედით. 1956 წლის 1 სექტემბერი"...

მოსკოვის პიკის იერიში ლაშქრობის მეთოთხმეტე დღეს დაიწყო. დიდებული დილა იდგა. ასვლის წინ მთამსვლელებმა [illegible] გასასვლელი და საფრთხილო მარშრუტი ახლა შეერჩიათ თუ შეერჩიათ. ასვლის გზად მწვერვალის დასავლეთი ფერდი აირჩიეს.

აქ ყველაზე რთული მონაკვეთი თოვლ-ყინულოვანი ნაწილი გახლდათ, რომლის დახრილობა 60-65 გრადუსს უდრიდა. ეს გზა ყველაზე მოკლე და ამავე დროს ყველაზე რთული იყო პიკზე გავლილ ყველა მარშრუტს შორის.

... მთამსვლელები სწრაფად მიიწევდნენ ზემოთ. თორმეტი დღის მანძილზე ჟანგბადის ნაკლებობასაც შეეჩვივნენ და მუხლიც კიდევ უფრო გაუმაგრდათ. დაახლოებით 6580 მეტრ სიმაღლეზე რომ ავიდნენ, ბილიკიც ჩამოწყდა. უკან დარჩა ყველაზე რთული მონაკვეთი. აქედან კი ქართველ მთამსვლელთა 1956 წლის ექსპედიციის მიერ გაკვალულ ბილიკს უნდა გაჰყოლოდნენ. გაჰყვნენ კიდეც და მწვერვალიც დაიპყრეს. დაშვებით კი შარშანდელი ასვლის გზით დაეშვნენ. მთავარი ბრძოლები უკვე გადატანილი იყო.

— მაინც, რა სწრაფად დავიპყარით მოსკოვის პიკი!

— რაღაც დღე-ნახევარში ავედით. ვინ იფიქრებდა ამას?

— მადლობა ღმერთს, მწვერვალმა კეთილი თვალით გადმოგვხედა.

— ეს ახლა ცოდო, რომ შეგვეტანა სასიამოვნო კლასში, უფრო მეტად მიგვეღებოდით.

ასე საუბრობდნენ მთამსვლელები გიგანტ მწვერვალთა ოკეანეთში ჩაკარგულ კარავში.

მეთხუთმეტე დღე დაიწყო, „სოიუზ-აპოლონისკენ" მიმავალ თხემზე დაშვება და საბოლოო გამარჯვება სულ ახლოს იყო.

როგორც მთელი ტრავერსის მანძილზე, ამ მონაკვეთზეც იცვლებოდა წინმავალი წყვილი.

მაქრო და შოთა დაწინაურდნენ. მაქრო ერთ-ერთი კლდის თავზე მოექცა და დაცვა მოაწყო. ერთ თოკში ჩაბმულნი ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. მაქრომ თოკი იგრძნო მოეშვა, რომ მეგობრის მოძრაობისთვის ხელი არ შეეშალა.

მოულოდნელად კლდეს ქვა მოსწყდა.

— ფრთხილად, შოთა! — მეგობრის გაფრთხილება მოასწრო მაქრომ, მაგრამ ქვა უფრო სწრაფი აღმოჩნდა და შოთას ჩაფხუტი ჩაუმსხვრია. ზემოდან კიდევ ერთი უზარმაზარი ქვა დაეშვა. შოთამ მოასწრო და კედელს ძლიერად ეკრა ფეხით. მთამსვლელი მარჯვნივ გადაქანდა...

— შოთა! — იყვირა მაქრომ და სახეზე ხიფრის ოფლმა დაასხა.

ამასობაში ქვამ ელვის სისწრაფით ჩაიქროლა უფსკრულისკენ. შოთა უვნებლად გადარჩა. ქვაცვენა შეწყდა.

— ცოცხალი ხარ, ბიჭო? მე კი, თოკი მყვეთრად რომ დაიჭიმა, ვიფიქრე, მორჩა, გათავდა, გადაიჩეხა, — თქვა მაქრომ, როდესაც თავისი მეგობარი სიხარულით [illegible] მასთან.

... მწვერვალი სულ ახლოს იყო. დაღამდა. სავსე მთვარემ გაანათა პამირის გოლიათები. მთვარის შუქზე სულ სხვაგვარი სანახავი იყო დათოვლილი მწვერვალები, სულ სხვაგვარი სამყარო გადაშლილიყო, ვარსკვლავებით მოჭედილი, უძირობლო ცის ქვეშ კი კიდევ მეტი იდუმალება გამეფებულიყო.

„სოიუზ-აპოლონი" შუაღამისას დაიპყრეს მთამსვლელებმა.

ბანაკში: შარშან თბილისში სტუმრად იყვნენ ამერიკელი ასტრონავტები თ. სტაფორდი, ვ. ბრანდი, დ. სლეიტონი, საბჭოთა კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი. მათ სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიცნეს ქართველი მთამსვლელები.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ ო. გიგინეიშვილმა ძვირფას სტუმრებს ფედერაციის სამკერდე ნიშნები და მწვერვალ „სოიუზ-აპოლონის" ფოტოსურათები გადასცა. თითოეულ სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „...საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის გუნდის წევრებისაგან, რომლებმაც მოახდინეს ასვლა ცენტრალურ პამირში, სარიანის მყინვარის რაიონში მდებარე 6047 მეტრი სიმაღლის მწვერვალზე და პირველმსვლელთა უფლებით, საბჭოთა და ამერიკელ კოსმონავტ-ასტრონავტების პირველი ერთობლივი გაფრენის პატივსაცემად მას „სოიუზ-აპოლონი" დაარქვეს.

შ. მირიანაშვილი, ო. ხაზარაძე, თ. ვაშაძე, დ. დანგაძე, გ. აბაშიძე, შ. გაბისიანი, ს. ბარლიანი".

ო. გიგინეიშვილმა სტუმრებს აცნობა, რომ მათი გვარები შეტანილია საქართველოს ალპური კლუბის საპატიო წევრთა სიაში.

ამ ამბავმა აღაფრთოვანა ამერიკელი ასტრონავტები და საბჭოთა კოსმონავტები. ამერიკელმა სტუმრებმა თქვეს, ეს ფოტოსურათი ამერიკაში შეერთებული შტატების ასტრონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს დაამშვენებსო.

... **ხეთეული** დილით დაეშვა ლედნიკის ზედაპირზე, დაახლოებით 4900 მეტრი სიმაღლეზე. ეს ყველაზე დაბალი წერტილი იყო მთელ გზაზე. შემდეგ კი იყო მწვერვალი „მოლოტბა" და ბოლოს — „დუშანბე". იქიდან მთამსვლელები შარშანდელი ასვლის გზით, დასავლეთის თოვლიანი ფერდობით დაეშვნენ.

— სარიანის მყინვარზე ვართ, სარიანის დიდი „ნალის" ტრავერსი დამთავრებულია!

— გვიმარჯვეთ, ბიჭებო, გვიმარჯვეთ!

გახარებული მთამსვლელები ერთმანეთს ეხვეოდნენ. ვარშნოდელნი ახლა ისე ოცნებობდნენ დაშვებაზე, როგორც ბარში ყოფნისას მწვერვალზე ასვლაზე. მაგრამ მათ კიდევ ერთი ვალი ჰქონდათ მოსახდელი.

ალპინისტებმა ძირითად ბანაკში დამხვდური ჩვენი შეცვალეს და ახლა თვითონ იქცნენ მეთვალყურეებად. ხეთეულმა სხვადასხვა მწვერვალთა დასაპყრობად გზა დაულოცა ჯაბა ხერგიანს, კარლო ჭეპელაშვილს, ზურაბ ათანაძეს, რომეო ცაგარელს, ტიტე გურგენიძეს, ვაჟა ჩიგვლიშვილს, თინა ფაცაციას და შალვა ლეჟავას. მათაც მიაღწიეს სანატრელს.

შემდეგ კი იყო მილოცვები, ოქროს მედლები, კვლავ მილოცვები...

„ქართველ ალპინისტთა ექსპედიციის უფროსს ამხ. შ. მირიანაშვილს. ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ დიდ გამარჯვებას, ახალი მწვერვალების დაპყრობას და მათთვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და ხალხთა მეგობრობის სახელების მინიჭებას. ჯ. რასულოვი, ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი".

●

მოგვიანებით, როცა სსრ კავშირის მთამსვლელთა ხუთეულის შედეგებს შეაჯამებს, კომპეტენტური ჟიური იტყვის, ტრავერსების კლასში წლეულს ყველაზე მეტად გაუგოლდა ოქროს მედლების მიკუთვნება. რატომაც არა, სპეციალისტთა საერთო აზრით ასეთი რთული ტრავერსი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვს.

ა. ბურასაშვილი.

სურათზე: სულ XXV ყრილობის სახელობის მწვერვალი (მარცხნივ) და კონსტანტინე გამსახურდიას პიკი. შ. მირიანაშვილის ფოტოები.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული წინასაახალწლო გამოკითხვის შედეგად ლაურეატის სახელი მოიპოვა ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მრავალგზის გამარჯვებულმა **ვიქტორ სანეევმა.**

ამგვარი გამოკითხვა რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ უკვე მეათედ მოაწყო და სანეევს მეორედ ხვდა ლაურეატის სახელი.

გარდა სანეევისა, წლეულს საუკეთესოთა ათეულში შევიდნენ: ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი **ლევან თედიაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა), **დავით უღდიანი** (ცხენოსნობა), **ალექსანდრე ანპილოგოვი** (ხელბურთი), **დავით კვაჭაძე** (კრივი), **ალექსანდრე მეტრეველი** და **თეიმურაზ კაკულია** (ჩოგბურთი), **როინ ხარშილაძე** (ძიუდო), **მანუჩარ მაჩაიძე** (ფეხბურთი), **ავთანდილ მაისურაძე** (კლასიკური ჭიდაობა).

ტრადიციისამებრ, მოეწყო კონკურსი ყველაზე მოხერხებული, ყველაზე ზუსტი ჟურნალისტის გამოსავლენად, რომლის შედეგებმაც ყველაზე მეტად დაემთხვევა საერთო აზრს. გამარჯვება „[illegible]" რედაქტორმა **არჩილ გოგელიამ**, რომელმაც გამოკითხვის მონაწილეთაგან ერთადერთმა, სწორად დაასახელა მთელი ათეული.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია წარმატებას ულოცავს ლაურეატებს, უსურვებს მათ ჯანმრთელობას და ახალ გამარჯვებებს. (საქინფორმი).

ვიქტორ სანეევი ვაჟიშვილთან ერთად.

ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ

როცა მონრეალის ოლიმპიადის წინ მიუნხენში ვიქტორ სანეევმა დაამხო კიდევ ერთი რეკორდი დახურული დარბაზებისათვის, ეს ამბავი არავის გაჰკვირვებია. ამის მერე, სპორტული ჟურნალისტი, რომელიც კარგა ხანია აკვირდება და სწავლობს ვიქტორ სანეევს, ფურცლებს არ მიაჩნდა ერთი გარემოება რომ არა. ვიქტორის პარტნიორი ხშირდებოდა გამარჯვება და თანაც აუცილებლად საოცარი შედეგით. მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ იგი თითქოს ჩრდილში იდგა. ამასობაში ვიქტორის მეტოქეები გამუდმებით აუმჯობესებდნენ თავიანთ შედეგებს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუნდობლად უტევდნენ სამგზის ოლიმპიურ დიდოსტატს. ერთ-ერთმა მათგანმა კი, ახალგაზრდა ბრაზილიელმა ჟოაო ოლივეირამ მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ეს ჩვეულებრივი რეკორდი არ ყოფილა — იგი მნიშვნელობითა და მასშტაბით არ ჩამოუვარდებოდა ბობ ბიმონის ფენომენალურ მიღწევას. ზოგიერთი სპეციალისტი, ჟურნალისტები ბრაზილიელის შედეგს დაუჯერებლობას უწინასწარმეტყველებდნენ, ხოლო თვით ჟოაოს — ოლიმპიურ ოქროს მედალს. როცა ასეთი დასკვნა გამოიტანეს, მათ გამორჩათ სულ „უმნიშვნელო" დეტალი — თვითონ ვიქტორ სანეევი ითვალისწინებდა თუ არა ამ მოსაზრებას.

როგორც კი ბრაზილიელმა ვიქტორ სანეევის მსოფლიო რეკორდი მოხსნა, ერთი სული მქონდა გამოველაპარაკებოდი. მაგრამ ვიქტორი რამდენიმე დღით გაქრა, არ მინდოდა უშუალოდ „მანიაკის" როლში გამოვსულიყავი. მერე კი „ლელოსთვის" ხელდახლობით მივადექი და ვიქტორის სახელდახელო ინტერვიუ ჩამოვართვი. საუბრის შემდეგ გამოქვეყნებული წერილი [illegible]: ვიქტორი დიდად აფასებდა ბრაზილიელის რეკორდს, მაგრამ ოლიმპიურ სარბენზე თავის გამარჯვებაში ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი. ამ მოსაზრებას მტკიცე საფუძველი ჰქონდა. ვიქტორ სანეევი [illegible] სპორტული მაჩვენებლებით რიგით ... მისი ხერხის ხასიათის სიმტკიცით, უდიდესი ოპტიმიზმით, ინტელექტით, უმდიდრესი გამოცდილებით. რა შეეძლო დაუპირისპირებინა მისთვის ახალი მსოფლიო რეკორდის მფლობელს? საერთო შედეგი, რომელიც მან აჩვენა მეხიკოს გაიშვიათებული ატმოსფეროს პირობებში, როცა თითქოს „არამიწიერი" ძალები მიეხმარნენ სპორტსმენს. მეხიკოს „მიწიერმა" დამატებითმა რეკორდი ბიმონს. მაგრამ ბიმონი ჩამოიტანდა აღარ თუ ვერ გაიმეორა ეს შედეგი, მაშინ დღეობითაც ვერ მიუახლოვდა მას. იგივე შეიძლება ითქვას ჟოაო ოლივეირაზეც. სხვათა შორის, ვიქტორის მსოფლიო რეკორდიც მეხიკოს ოლიმპიური თამაშების დაიბადა, მაგრამ, ბიმონისა და ოლივეირასგან განსხვავებით, მან ბარის პირობებშიც უკეთესი შედეგი უჩვენა. ეს საკითხის მხოლოდ სპორტული მხარე გახლავთ. ამას გარდა არსებობს სხვა მომენტი, რომლებიც სპორტსმენს პიროვნებად აქცევს. ეს კი გახლავთ უფრო რთული საქმეა. მხოლოდ ნამდვილ პიროვნებებს ძალუძთ წლების მანძილზე განუწყვეტლივ წარმოადგენდნენ სპორტს ამა თუ იმ სახეობაში და თვით იყვნენ ახალგაზრდა სპორტული თაობის ქანდაკებელი. და კიდევ ერთი რამ. ვიქტორმა ზუსტად იცის, რომ რეკორდი — ეს გამარჯვება არ არის, რომ რეკორდი არ უნდა იქცეს თვითმიზნად. მთავარია საბოლოო გამარჯვებისკენ სწრაფვა. აი, ამ მიზნისათვის ვიქტორი ყოველდღიურად ტრენინგი მიდის, ვარჯიშობს, ვარჯიშობს... ადამიანი მარტოდენ ფიზიკური მონაცემებით უნდა იყოს დატვირთული, რომ გაუძლოს და გადაიტანოს ვიქტორ სანეევის დღის რეჟიმი. ხარისხი მეტად, სატრენინგო ინტრი, წვრთნები, ინტენსიური ანალიზი, დაღლილობა, და, რა თქმა უნდა, იგივე, რომელიც „ბიჭის" მართვის მიდევს დიდ ნაწილს...

• • •

მაგრამ დავუბრუნდეთ მონრეალის წინა პერიოდს. ბრაზილიელის რეკორდმა თბილისში ჩამოუტანა ვიქტორის მწვრთნელი ვიტოლდ კრეერი. მათ გადაწყვიტეს ოლიმპიადისათვის მზადების გეგმა და ბევრი კორექტივი შეიტანეს მასში. მაშინაც კრეერის ნათქვამი „ამ რეკორდის შემდეგ ვიქტორის დიდი დამარცხება გაუჭირს. მას ერთადერთი გამოცდილი ფაქტორი ეხმარებოდა. ახლა მოწინააღმდეგე რეალური — ბრაზილიელი თავისი ფენომენური რეკორდით. ვიქტორის თავისი ფაქტორი და ოლიმპიადების წინ მოულოდნელი კონკურენტების გამოჩენა — მიუნხენის თამაშების წინ მისთვის ასეთი მეტოქე იყო ჯოზეფ ჰერბი. მისმა მხოლოდ რეკორდმა ვიქტორის თითქმის ახალი ძალა მოაბრუნა. საერთოდ კი ვიქტორ სანეევი დაუმარცხებელია. ეს ჭეშმარიტი ოპტიმიზმი არ ეჯერით".

სხვათა შორის, ჟოაო ოლივეირას საოლიმპიო ნაწარმი ტელევიზორითაც უჩვენეს. სპორტსმენი ხელ რამდენიმე წამს გამოიწია ვერაზე, მაგრამ ვიქტორის გამოცდილი თვალისათვის ესეც საკმარისი გამოდგა, რომ მიხვედრილიყო მეტოქის მონაცემები ამოეცნო. რამდენიმე დღის შემდეგ ამ მონაცემების თითქმის ერთფეროვნად ლამაზ წერტილი პირობა და არა, საგარეგნოდ და, ამ გასაჩივრება, მისი ხასიათიც ვერ? ... ვიქტორის მისი ოლიმპიადის წინ ვიქ-ტორის, როგორც იტყვიან, ხელი თითქოს „უბრალოდ" უშინაურდებოდა ბრაზილიელი რეკორდსმენი, რომელიც მანამდე ხოროთად არ ჩანდა.

და აი, ოლიმპიადის წინ, მიუნხენში ვეროპის ზამთრის პირველობაზე ისინი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვდნენ არა როგორც მეტოქეები, არამედ ერთმანეთის ვაცნობის მსურველები. ბრაზილიელი ხაგანგებოთ ჩამოსულიყო ევროპაში ვიქტორ სანეევის გასაცნობად. „ეს კაცი დიდი სპორტსმენია, — ეუბნებოდა იგი ჟურნალისტებს, — ვინ განაჩრჯვებს? ამას გვიჩვენებს ოლიმპიადის სარბენი". ეს იყო ზოგადი „დიპლომატიური" განცხადება, მაგრამ ბრაზილიელის მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვიქტორის კლასმა და დახურული დარბაზისთვის დამყარებულმა მსოფლიო რეკორდმა.

მსოფლიოს ნამდვილი სამყარო მოუთმენლად ელოდა სანეევ-ოლივეირას ოლიმპიურ დუელს, რომელიც მან მძაფრი დრამატული ხიფათებს ჰპირდებოდა. ამ ბრძოლაში ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა არა ნახტომების ხარისხს, არამედ ერთ ნახტომს, რომელშიც სპორტსმენებმა თავი მოუყრიდნენ მთელს თავიანთ ოსტატობას და გამარჯვების წყურვილს.

მონრეალში არ დაიდასტურა წინასწარმეტყველება. მთელი სამყაროს ხანგრძლივობით ნახტომებმა სანეევმა ბრაზილიელი ხანმოკლეს. ხუმბავებიც მიუყარდნენ კეთა ნაცხადში ჩაუვარდათ: ფოტოებმა თუ კლასმა, როგორც ჟურნალისტი, ისე თქვით, ბრაზილიელი არც კეთდებოდნენ მეორე სამეულზე დაძვრა. იგი მეშინიდან შეუყვარდა ჩემპიონთა ჩემპიონის ვიქტორ სანეევს და მოულოდნელად ალოყებული ამერიკელ ბათსს.

როცა მონრეალიდან ვიქტორის ტრიუმფალური გამარჯვების ამბავი მოვიდა, გამახსენდა, როგორი შთაგონებით, თვით დანაბრძანებითაც კი, მარტოდენ ჰარკოსშივე „ლოკომოტივის" სტადიონის ბილიკებზე, როგორ იხედებოდა თბილისში მონრეალის ჩემპიონის ოქრო. გამახსენდა როგორი დაღლილ-დაქანცული ტოვებდა იგი დარბაზებს ვარჯიშის შემდეგ მიდიოდა, რათა მეორე დღეს კვლავ განეგრძო მზადება...

მაგრამ გამარჯვებისათვის მხოლოდ სავარჯიშო, ვიდრე კარგი შედეგებისათვის მზადება. სპორტი დაძაბული შრომა სხვისა, ზრუნვა დაძაბულობის ბირკოლება, როცა სარბილზე გამოდიხარ, იგი ნაცვლად შეუძლო და მარტო ყოველი. ყოველ ხაზის ამართებას არ უნდა გიუქრონიდეს ერთი კვირის რეკორდებს და ემოციამ გოგოებ-ანიოდებს არ უნდა აგიბნიორის. ესაა სპორტსმენის შინაგანი სამყარო, რომელზეც მაყურებლები ტრიბუნიდან ვერ ხედავენ, მაგრამ რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მის ყოველ გამოსვლაზე. დიდი სპორტსმენობა არ არის ადვილი: იგი ოსტატობის, აზროვნების, ინტელექტის, პასუხისმგებლობის ნაერთია. ერთეულ სპორტსმენს, თუკი მას სიმტე აქვს, ერის კი გაიკვირვებს ძალუძს, მაგრამ მალევე ჩაქრება. ვინაც მარტოდენ მხარმხლავება და მუხლის მეხილის იმედი აქვს, იგი დიდ სპორტსმენად უნდა გამოვიდეს.

— შენ დიდი ფეხბურთელი ხარ, — უთხრა სანეევმა მასთან „ლოკომოტივის" სტადიონზე საგანგებოდ მისულ დავით ყიფიანს. — შენი თამაში მიყვარს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი შრომა დაგჭირდება, რომ კლასი სტაბილური გახადო. რატომ თამაშობდი კარგად „ზარიასთან", „კარიდან სპარტაკთან" და რატომ არ გამოდიოდი თამაში კარგად „დინამოსთან"? რატომაა, რომ ერთი კარგი მატჩი დაბალ მარცხის ეხიარულებას? უნდა იბრძოლო მთავარია, ძირითადი, რაც დიდი სპორტის ოქროს კანონია. ძალიან უნდა ეწვრთნებოდეთ გამარჯვებას, მაგრამ მისი მიღწევა ერთი პირობით შეიძლება: თუ არასდროს უყურებთ თამაშის შედეგს მაჩვენებლად, თუ კმაყოფილებით დამსხვრეული არ იქნები. სხვადასხვა რაიმე თვალსაჩინო შედეგზე ლაპარაკიც ზედმეტია. კიდევ „დინამოსთან" სწორედ ზედმეტმა მოწადინებამ დაგღუპა და ერთმანეთს დაკარგე ის თვისებები, რომლებიც წინა მატჩებში გამოავლინე.

დათო ყიფიანი თამშობის ნიშნად თავს იქნევდა. ამ საუბარს, როგორც თვითონ თქვა, იგი არასოდეს დაივიწყებს. თვით ფაქტი, რომ ჩვენი ცნობილი ფეხბურთელი რჩევა-დარიგებისათვის ვიქტორ სანეევთან მივიდა, ერთობ საგულისხმოა. დიახ, ვიქტორისგან ბევრი ჩვენს სპორტსმენს შეუძლია ისწავლოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საუბარი შესაძლებლობას ცოტა ვინმე თუ იყენებს.

მე გადმოგცემთ სანეევისა და ყიფიანის საუბრის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი. მათი დიალოგი კარგა ხანს გრძელდებოდა და მინდოდა, რომ ფეხბურთელი ელაპარაკებოდა არა მარტო მისი გუნდელა — სპორტსმენი, არამედ საერთოდ სპორტში მეცნიერულად ჩახედული ადამიანი. აქ იყო ლაპარაკი სპორტული ფსიქოლოგიის, ხელოვნების, ნიჭიერების უფრო ძვირფას საკითხებზე...

• • •

მონრეალის ოლიმპიადაზე ვიქტორ სანეევის გამარჯვების შემდეგ სპეციალისტებმა ხელახლა გადახედეს ხტომის ყველაზე დიდი მძლეოსნების წუხებს. მისი დიდი სპორტსმენობა მანამდეც მტკიცედ ხვდებოდა და სწამდათ, მაგრამ მონრეალმა ახლებურად დაგვანახა სანეევის პიროვნება. მან, მონრეალის ოქროს მედალი, დაავგვირგვინა ათწლეულის მანძილზე მიღწეული ერთეული გამარჯვება. მერე დაეთვალეთ ეს გამარჯვებები და აღმოჩნდა, რომ არც ერთ მძლეოსანს მსოფლიოში ამდენი წარმატება არ მოუპოვებია. მას ჰქონდა შეედრება მხოლოდ ფინელის სტაბილურობით. და აი, მაშინ მსოფლიოს სპორტულ პრესაში სანეევზე დაიწყეს ლაპარაკი როგორც მძლეოსნობის ყველა დროის საუკეთესო ჩემპიონზე, ანუ მძლეოსნობის უკვდავ მეფეზე.

ხშირად მიხდება გამოცდილი ათლეტებისათვის ერთი ტრადიციული კითხვის მიცემა — ვინ არის მათთვის იდეალური სპორტსმენი. ეს მიგვითხრა მოკრივეებისათვის. ჩოგბურთელებისათვის, მოჭიდავეებისათვის, ფეხბურთელებისათვის, კალათბურთელებისათვის, ხელბურთელებისათვის... ალბათ მიხვდით მათს პასუხს: ვიქტორ სანეევი. აი ვინ არის სპორტის განსხვავებულ სახეობათა ოსტატების იდეალი. ვფიქრობ, ვიქტორისათვის — ჩინებული სპორტსმენისა და მოქალაქისათვის ეს უნდა იყოს ყველაზე დიდი ჯილდო.

ა. გოგელია.

კარპოვი — სსრ კავშირის ჩემპიონი

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა 44-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი. I ადგილი და საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის სახელი პირველად მოიპოვა ა. კარპოვმა — 12 ქულა. II ადგილზეა ი. ბალაშოვი — 11. III-IV ადგილები გაიყვეს ტ. პეტროსიანმა და ლ. პოლუგაევსკიმ — 10,5-10,5.

დასკვნითი, XVII ტურის წინ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. პეტროსიანმა ხანგრძლივი თამაშის შემდეგ დაძლია რ. რომანიშინის წინააღმდეგობა და 74-ე სვლაზე გაიმარჯვა. მეორე გადადებულ პარტიაში ი. დორფმანთან იგი ყაიმს დასჯერდა.

ნ. რაშკოვსკი თამაშის განუახლებლად დანებდა ა. ზახაროვს, ხოლო ე. სვეშნიკოვი — ვ. ცეშკოვსკი და რ. ვაგანიანი — ლ. პოლუგაევსკი ასევე უბრძოლველად შეთანხმდნენ ყაიმზე. ზავით დამთავრდა, აგრეთვე, ვ. კუპრეიჩიკ-ვაგანიანის პარტია.

XVII ტურში, რომელიც გუშინწინ შედგა, პირველი სმისლოვ-პეტროსიანის შეხვედრა დამთავრდა. როგორც კი მდგომარეობა გათანაბრდა, მეტოქენი დაზავდნენ. მალე მათ მიჰბაძეს სვეშნიკოვმა და მ. ტაიმანოვმა, მ. ტალმა და ბალაშოვმა.

ყაიმზე ალბათ კარპოვიც თანახმა იქნებოდა, რადგან I ადგილისთვის ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა. მაგრამ ვ. ცეშკოვსკიმ მსოფლიო ჩემპიონს მძაფრი ბრძოლა შესთავაზა. კარპოვმა ომსკელი დიდოსტატის გამოწვევა მიიღო, და... გაიმარჯვა.

პოლუგაევსკიმ საუცხოოდ გამოიყენა კ. გრიგორიანის ერთ-ერთი მხედრის ცუდი განლაგება. მან იერიში მიიტანა ოსტატის მეფეზე. გრიგორიანი ფაქტიურად უმხედროდ თამაშობდა და თავდასხმა ვერ მოიგერია.

დორფმანმა ორი ფიგურის შეწირვით სძლია კუპრეიჩიკს. ყაიმზე შეთანხმდნენ რომანიშინი — ვაგანიანი, ბ. გულკო—რაშკოვსკი და ზახაროვი—ე. გელერი.

ამრიგად, ტურნირი დამთავრდა. პრიზიორების შემდეგ მოდიან: ი. დორფმანი — 9,5 ქულა, ვ. სმისლოვი, მ. ტალი — 9-9, ე. გელერი, ო. რომანიშინი, ე. სვეშნიკოვი — 8,5-8,5 (ეს მოჭადრაკეები გაისადაც უმაღლესი ლიგის ტურნირში ითამაშებენ), ბ. გულკო — 8, კ. გრიგორიანი, რ. ვაგანიანი — 7,5-7,5, ნ. რაშკოვსკი, მ. ტაიმანოვი — 7-7, ვ. ცეშკოვსკი (ესენი კი მომავალ წელს პირველი ლიგის ტურნირში გამოვლენ), ა. ზახაროვი — 6,5-6,5, ვ. კუპრეიჩიკი — 6 (ამ ორმა მოჭადრაკემ ყველაფერი თავიდან — საკავშირო შესარჩევი ტურნირიდან უნდა დაიწყოს).

• • •

სურათზე: ა. კარპოვი.

დღის წესრიგშია

კონკურსი-დათვალიერება

ცნობილია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებისთვის საზოგადოებრივი ორგანოების აქტიურ საქმიანობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას. ადგილებზე, მასობრივ სექციებში უნარიანად წარმოებული მუშაობა ის საიმედო საფუძველია, რომელსაც ემყარება ადამიანის გაჯანსაღების, სპორტსმენის შემდგომი დაოსტატების საპასუხისმგებლო საქმე.

ამ მიმართებით სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური კულტურის კოლექტივების ფეხბურთის სექციების, რაიონებისა და ქალაქების ფეხბურთის ფედერაციების, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა და განათლების სამინისტროს სისტემის ფეხბურთის სექციების ბიუროების რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსს, რომლის პირველი შედეგები უკვე შეჯამდა, ახლა კი მიმდინარეობს მოსამზადებელი საქმიანობა ახალი, 1977 წლის ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის.

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს და ფეხბურთის ფედერაციის სხდომა. მან განიხილა მასობრივი ფეხბურთის საკითხები, დააჯილდოვა ის ორგანიზაციები, რომლებმაც თავი ისახელეს 1975 წლის საკავშირო დათვალიერება-კონკურსში და დასახა 1977 წლის დათვალიერება-კონკურსის გეგმები.

ფეხბურთის განვითარების მიზნით გაწეული აქტიური საქმიანობისთვის საკავშირო სპორტკომიტეტის სიგელებითა და ვიმპელებით დაჯილდოვდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, ჭიათურის მაღაროთა სამმართველოს, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ველისციხის პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური კულტურის კოლექტივები, თბილისის, რუსთავის, ცხაკაიას ფეხბურთის ფედერაციები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საორგანიზაციო-მასობრივი კომისია.

ახლა დღის წესრიგში დგას მზადება მომავალი წლის დათვალიერება-კონკურსის მაღალ დონეზე, ნაყოფიერად ჩატარებისთვის. მისი მნიშვნელობა დიდია. დათვალიერება-კონკურსი ეწყობა მასობრივი ფეხბურთის შემდგომი განვითარების, ფიზიკური კულტურის კოლექტივების სექციების, საქალაქო და სარაიონო ფედერაციების, სპორტსაზოგადოებათა სექციების ბიუროების საქმიანობის გააქტივების, ამ სახეობაში მასობრივ შეჯიბრებათა ორგანიზებულად ჩატარების, ფეხბურთელთა გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის ხარისხის გაუმჯობესების, არსებული ბაზების უკეთ მოვლისა და ახალი სათამაშო მინდვრების მოწყობის მიზნით.

დათვალიერება-კონკურსში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ფიზიკური კულტურის კოლექტივების საფეხბურთო სექციებმა, ადგილობრივმა ფედერაციებმა, განათლების სამინისტროს სისტემის ფეხბურთის სექციების ბიუროებმა, ამასთან, საჭიროა ეს ღონისძიება განხორციელდეს გულდასმით, ყურადღებით, საქმიანად. მისი ხელმძღვანელობა ევალებათ რესპუბლიკურ სპორტკომიტეტთან არსებულ დამთვალიერებელ კომისიას, ფეხბურთის სამმართველოს მასობრივი ფეხბურთის განყოფილებას, რესპუბლიკური ფედერაციის ორგმასობრივი მუშაობის კომისიას, სადაც ყოველთვის შეიძლება ცნობებისა და კონსულტაციების მიღება საჭირო საკითხებზე.

ამას გარდა, სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებთან და განათლების სამინისტროსთან იქმნება საუწყებო დამთვალიერებელი კომისიები, რომლებიც პრაქტიკულ ხელმძღვანელობას გაუწევენ ასეთივე კომისიების მუშაობას ადგილებზე, რაიონებში, ქალაქებში, ფართოდ გამოიყენებენ პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზკულტურულ აქტივს.

დამთვალიერებელი კომისიები განაზოგადებენ დათვალიერება-კონკურსის შედეგებს ადგილებზე, გამოავლენენ გამარჯვებულებს და შესაბამისი სპორტკომიტეტებისა და ფედერაციების დამტკიცების შემდეგ წარადგენენ კონკურსის შემდგომ ეტაპზე.

დათვალიერება-კონკურსი მიმდინარეობს მთელი წლის მანძილზე. მისი შედეგები ფიზკულტურულ კოლექტივებში წარდგენილი უნდა იყოს 1978 წლის 15 იანვრამდე. რაიონული სპორტკომიტეტები, ფეხბურთის ფედერაციები, სპორტსაზოგადოებების, სახალხო განათლების განყოფილებათა ფეხბურთის სექციების ბიუროები აჯამებენ ამ შედეგებს და თავიანთ მასალებს ზემდგომ ორგანოებს უგზავნიან 25 იანვრამდე, საქალაქო ორგანიზაციები — 5 თებერვლამდე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ორგანიზაციები — 15 თებერვლამდე, სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები და განათლების სამინისტრო — 28 თებერვლამდე.

გამარჯვების საკითხი წყდება იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დაეგზავნა დათვალიერება-კონკურსის ყველა მონაწილეს. საუკეთესონი დაჯილდოვდებიან პრიზებით, დიპლომებითა და ვიმპელებით.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალი დათვალიერება-კონკურსი ჩვენს რესპუბლიკაში ჩაივლის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, საქმიანად, საინტერესოდ.

ი. მეძღლიშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის სამი მატჩი.

მინსკი. სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა, ლენინგრადის სპარტაკელებმა ძნელ ბრძოლაში მოუგეს რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდს — 76:75.

ვილნიუსი. „სტატიბა“ შინ იშვიათად აგებს და ახლა სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა. მასპინძლები დამარცხდნენ რიგის არმიელებთან — 74:80. ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: გამარჯვებულთაგან — გ. გავრიში (24 ქულა), მასპინძელთაგან — ა. პავილონისი (20).

ნიკოლაევი. ადგილობრივი „სპარტაკისა“ და ტალინის „კალევის“ მატჩში ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 81:81. დამატებით დროში გაიმარჯვეს ტალინელებმა—90:86. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო სპარტაკელი ლატიპოვი — 41 ქულა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“ (ლენ.)	10	8	2	897:769	8
„სტროიტ.“ (კ.)	6	6	0	585:505	6
„დინ.“ (მოსკ.)	10	6	4	913:871	6
ცსკა	5	5	0	535:427	5
„ჟალგ.“ (კაუნ.)	9	5	4	831:773	5
„დინამო“ (თბ.)	7	5	2	640:622	5
ასკ (რიგა)	9	4	5	778:786	4
„კალ.“ (ტალ.)	8	4	4	643:672	4
რტი (მინსკი)	8	3	5	705:699	3
„სტატიბა“ (ვილ.)	8	2	6	710:745	2
„სპარტ.“ (ნიკ.)	9	2	7	774:870	2
„სპარტ.“ (ვლად.)	9	2	7	729:826	2
„ურალმ.“ (სვერდ.)	6	0	6	503:678	0

ფეხბურთი

გადამწყვეტი მატჩები დაიწყო

განახლდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მატჩები საქართველოს ზონის გუნდებს შორის. ესაა II წრის შეხვედრები და, უნდა ითქვას, ტურნირის ამ ეტაპზე თამაშები მიმდინარეობს საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. მაგალითად, თბილისის განათლების განყოფილებისა და „დინამოს“ გუნდებს შორის გამართულ მატჩში, ორივე მხარემ კარგი მომზადება, მაღალი ტექნიკა და ტაქტიკური მრავალფეროვნება გამოავლინა. რამდენიმე მოთამაშემ ყურადღება მიიქცია კარგი მონაცემებით. დინამოელებმა თანაბარ ბრძოლაში გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და ეს იყო შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლის შედეგი.

მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს გორის „დილამ“. საინტერესო მატჩი მინიმალური ანგარიშით თბილისელებმა მოიგეს — 3:2.

რამდენიმე მატჩმა გვიჩვენა ერთ-ერთი მხარის დიდი უპირატესობა. მაგალითად, თბილისის „განთიადმა“ მოუგო ლაგოდეხელებს (6:0), „ავაზამ“ — რუსთავის „მეტალურგს“ (5:0), თბილისის „სპორტინტერნატმა“ — თელაველებს (3:0), ბათუმის დინამოელებმა — სოხუმელ თანაკლუბელებს (3:0), ქუთაისის ტორპედოელებმა — ზუგდიდის „დინამოს“ (3:0).

ერთნაირი ანგარიშით — 3:2, მოუგეს გაგრელებმა ჭიათურელებს, ხოლო ფოთელებმა — ლანჩხუთელებს. ფრედ 0:0 დამთავრდა ბათუმის განათლების განყოფილების გუნდისა და სამტრედიის „ლოკომოტივის“ შეხვედრა.

კვლავ გვიხდება ლაპარაკი დისციპლინის დარღვევის შემთხვევებზე. ეტყობა, მწვრთნელებმა და ნორჩ ფეხბურთელთა ხელმძღვანელებმა ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს ამ საქმეში. მინდვრიდან გააძევეს ზუგდიდელი ვ. კორხელია და ბათუმის განათლების განყოფილების გუნდის მოთამაშე გ. ხომერიკი, აგრეთვე, გაგრელი მ. მონიავა. გაფრთხილებული არიან გაგრელები ა. ციშბა და ვ. ეფრემოვი, ლანჩხუთელი ვ. კუკულაძე, ფოთელები რ. ალანია და დ. დავითაშვილი.

მიმდინარე ტურნირის ერთ-ერთ საანგარიშო წერილში აღვნიშნავდით, რომ ჭიათურის „მაღაროელს“ წაგება ჩაეთვალა ზუგდიდელებთან მატჩში განაცხადში დაუსახელებელი მოთამაშის გამოყვანის გამო. შემდგომში გამოირკვა, რომ წესი არ დარღვეულა. ამიტომ მატჩის შედეგი (2:1 ჭიათურელთა სასარგებლოდ) ძალაში დარჩა და მწვრთნელის დასჯის საკითხიც მოიხსნა დღის წესრიგიდან.

ი. გოგორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 23 დეკემბრისთვის

ალმოსავლეთის ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავაზა“	11	6	5	0	22—7	17
„დინამო“ თბ.	11	6	5	0	18—6	17
ახ. საფ. სკ. თბ.	11	6	4	1	13—8	16
გან. განყ. თბ.	11	6	3	2	32—7	15
„განთიადი“	11	5	5	1	18—6	15
„სპორტინტ.“	11	5	1	5	9—14	11
„დილა“	11	3	4	4	14—21	10
საფ. სკ. თელ.	11	2	1	8	9—25	5
„მეტალურგი“	11	0	3	8	6—22	3
სპორტსკ. ლაგ.	11	0	1	10	4—29	1

დასავლეთის ზონა

„დინამო“ ბ.	11	10	1	0	24—4	21
„ტორპედო“	11	7	3	1	22—8	17
„გურია“	11	5	3	3	17—14	13
„ლოკომოტ.“	11	4	3	4	17—13	11
„დინამო“ ს.	11	4	3	4	13—16	11
ახ. საფ. სკ. გ.	11	4	2	5	7—17	10
სპორტსკ. ბ.	11	2	4	5	14—21	8
სპორტსკ. ფ.	11	2	3	6	17—23	7
„დინამო“ ზ.	11	2	2	7	18—24	6
„მაღაროელი“	11	2	2	7	14—23	6

პირველი მედლები განაწილდა

ჩიმბულაკის მთის ფერდობებზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სამჭიდში.

ქალთა შორის გიგანტურ სლალომში იმარჯვა ნ. პატრიკეევამ (მოსკოვის ოლქი) — 1.34,08.

ქალთა შეჯიბრების უკანასკნელი სახეობა სლალომი იყო. პატრიკეევამ ტრასის გავლას 57,86 წამი მოანდომა. სამჭიდში მას 21,72 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და ჩემპიონი გახდა. კარგად გამოვიდნენ დები ტ. და ნ. პერჩატკინები, რომლებიც ამ სეზონში ლვოვის ღირსებას იცავენ. ნატალიამ, მართალია, სპეციალურ სლალომში ყველას აჯობა (55,59), მაგრამ სამჭიდში 39,85 ქულით ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ვერცხლის ჯილდო მიიღო ტატიანა პერჩატკინამ — 31,51.

„სპორტლოტოს“ მოყვარულთათვის

29 დეკემბერს შედგება „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 52-ე ტირაჟი.

ამ ტირაჟში მოგებათა ოდენობა გაზრდილია დამატებითი ფონდიდან. თავის მხრივ, ეს ფონდი იქმნება მოთამაშეთა მიერ შეძენილი იმ ბარათების ხარჯზე, რომლებიც ზონალურ სამმართველოში თავის დროზე არ მოხვდა (დაავიწყდათ ჩაშვება, ტირაჟის შემდეგ ჩაუშვეს, „სპორტლოტოს“ ყუთის ნაცვლად საფოსტო ყუთში ჩაყარეს და ა. შ.).

ახლა დამატებითი ფონდი 450 ათას მანეთს აღემატება. ეს თანხა გამოყენებული იქნება 52-ე ტირაჟის მოგებათა განაწილებისა და ანაზღაურებისას.

გისურვებთ წარმატებას!

საქსპორტლოტო.

შაში. პადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). **საქართველოს პირველობები 64- და 100-უჯრიან შაშში. 25-30 დეკემბერი.** ორივე ტურნირში 25 დეკემბერს გაიმართება VII ტური, 26-ში — VIII, 27-ში — IX, 28-ში — X. დასაწყისი 16 ს.

გაიმარჯვეს სტუდენტებმა

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

კაუნასში თავი მოიყარეს უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მონაწილე ხელბურთელ ვაჟთა გუნდებმა, რათა 29 დეკემბერს დაამთავრონ პირველი წრე. 12 გუნდს დაემატა მეცამეტეც — ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები, რომელმაც მონრეალის თამაშებში ოქროს მედლები მოიხვეჭა. ოლიმპიელებს ზეიმით შეხვდნენ, შემდეგ კი ისინი თავიანთ გუნდებს დაუბრუნდნენ. სხვათა შორის, ამ ჩემპიონატში, წინა პირველობისგან განსხვავებით, ორი ჩვეულებრივი წრის ნაცვლად მოეწყობა დამატებითი, ფინალური შეჯიბრება ექვსი უძლიერესი გუნდის მონაწილეობით. ასე რომ, მედლებისკენ გზა გართულდა.

პირველი ხუთი მატჩის შემდეგ ქულის დაუკარგავად ლიდერობენ ცსკა და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 10-10 ქულა. მათ 2 ქულით ჩამორჩებიან ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ ხელბურთელები, რომლებმაც დღეს ძნელ ბრძოლაში დაუთმეს გამარჯვება ადგილობრივ „გრანიტასს“ — 24:26.

კარგად ითამაშეს თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა, რომლებმაც დაამარცხეს მინსკის არმიელები — 30:24.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ნევა“ (ლენინგრადი) 38:24, ცსკა — ასკ (ლვოვი) 32:19, ასკ (კიევი) — ზიი (ზაპოროჟიე) 20:19.

●

ხელბურთელ ქალთა გუნდების XVI საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა მეორე და მესამე ტურების მატჩები.

ალმა-ათის შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — „ლუჩი“ (მოსკოვი) 19:18, ზიი (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (ბაქო) 18:19, „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 17:22, „სპარტაკი“ — „როსტსელმაში“ 14:15, „ლუჩი“ — ზიი 14:19, „ცვეტმეტი“ — „ბურევესტნიკი“ 18:17.

მუკაჩოვოში მატჩები ასე დასრულდა: „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (კიშინიოვი) 30:16, „სპარტაკი“ (კიევი) — „მეტალურგი“ (ბროვარი) 23:11, „კოლოსი“ (ბერეგოვო) — უპი (სვერდლოვსკი) 22:18, უპი — „ჟალგირისი“ — 16:14, „მეტალურგი“ — „დინამო“ 16:13, „სპარტაკი“ — „კოლოსი“ 34:4.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14116